მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15
2025 წლის 30 ოქტომბერი

დაბა მესტია

„მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანულის კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება **„მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე”**მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №24 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge,) 28/12/2024, სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.103.016450).

დადგენილებით დამტკიცებული დანართი – **საკრებულოს აპარატის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომლები** – ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საკრებულოს აპარატის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომლები			
	თანაშემწე		1
	სპეციალისტი		1
	მძღოლი		1
	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი		1
	ჯამი:		4

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 ნოემბრიდან.

მესტიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მაიზერ ჯაფარიძე**